საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2017 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

www.sab.ge

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2017 წლის 1აპრილის მდგომარეობით)

2017 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 1.5%-ით, 0.4 მლრდ ლარით გაიზარდა და 29.8 მლრდ ლარი შეადგინა. სასესხო პორტფელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 15.2%-ით (2.429 მლრდ ლარი) გაზრდილია, ხოლო წინა თვის მაჩვენებელზე 1.6%-ით (307.4 მლნ ლარი) არის შემცირებული. მარტის თვის მონაცემებით საკრედიტო პორტფელი 18.4 მლრდ ლარის ტოლია. ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 396.6 მლნ ლარით (5.8 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხები 704.1 მლნ ლარით (5.9 პროცენტით) შემცირდა. კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 15 პროცენტია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად უცხოური ვალუტით ნომინირებული სესხების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება. მიმდინარე წლის მარტში საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე შემცირდა 0.2 პროცენტული პუნქტით და 15.4 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პუნქტით გაიზარდა და 8.6 პროცენტი გახდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე პროცენტი 1.3%-ით შემცირდა და წლიური 19.6 % შეადგინა. 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განსაზღვრულ სესხებზე 1.5 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული, ხოლო ეროვნული ვალუტით განხორციელებულ დაკრედიტებაზე 3.7 პუნქტით.

ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მთლიან პორტფელთან მიმართებაში 0.15%-ით შემცირდა და 2.17%-ი შეადგინა. წინა თვის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 34.5 მლნ ლარით (7.9 პროცენტით) არის შემცირებული და 402.3 მლნ ლარის ტოლია. აქვე აღსანიშნავია, რომ ვადაგადაცილებული სესხების შემცირება უმეტეს წილად უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებზე მოდის 11.5%, ხოლო ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე ვადაგადაცილების მაჩვენებლის 2.6%- იანი კლება დაფიქსირდა. რაც შეეხება სასესხო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელს, წინა თვესთან შედარებით 2.75%-ით შემცირდა და უცხოურ ვალუტაში გაცემულმა სესხებმა ჯამური პორტფელის 60.93%-ს შეადგინა.

საბანკო სექტორში განთავსებულმა არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2017 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით 16.06 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 470.5 მლნ ლარით ანუ 2.85%-ით ნაკლებია 1 მარტის მაჩვენებელზე. მარტში წინა თვესთან შედარებით, ვადიანი დეპოზიტები 314 მლნ ლარით 4.3%-ით, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 156 მლნ ლარით 2.1%-ით შემცირდა. ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 4.4% შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 8.5%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 2.8%. უცხოური ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილი 84.6%, ხოლო ევროსი 12.85% ტოლია. დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 69.19%-იან ნიშნულზეა რაც თებერვლის თვის მაჩვენებელზე 1.25%-ით ნაკლებია.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ეკონომიკურ აქტივობაზე ლარის გაუფასურებასთან ერთად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საკანონმდებლო ცვლილებებმა, კერძოდ უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემასთან დაკავშირებულმა შეზღუდვამ. ცვლილებების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო მოკლევადიან პერიოდში დაკრედიტების შესუსტება და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა. ბოლო ორი თვის მონაცემებით იკვეთება, რომ მოსახლეობა მეტი სიფრთხილით ეკიდება ახალი გარიგებების დადებას, რაც ვალუტების მიხედვით ჩაშლილ სასესხო პორტფელის ცვლილებაზეც აისახა. მოკლევადიანი სირთულის მიუხედავად კომერციული საბანკო სექტორი სტაბილურად იზრდება, მარტის საკონვერსიო შემოსავლებიდან მიღებულმა სარგებელმა 24.8 მლნ ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ 115.1 მლნ ლარი შეადგინა.

www.sab.ge